ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3273279

ნომერი: AR1502198

თარიღი : 08.05.2017

გაცემის თარიღი : 23.05.2017

გაცნობის თარიღი : 24.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა N39 / ქალაქი თბილისი , დასახლება თემქა , კვარტალი X ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა ხავთასი პ/ნ 35001009271
- ქ.რუსთავი. 21 მიკრო რაიონი. სახლი 15 ოთახი 31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15.02.2017 წლის №3099140 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 08.05.2017

წლის #AR1502198 განცხადებით მომართა მამუკა ხავთასმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15.02.2017 წლის №3099140 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 15.02.2017 წლის №3099140 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა N39 / ქალაქი თბილისი , დასახლება თემქა , კვარტალი X, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.12.03.002.037), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 15.02.2017 წ-დან 15.08.2017 წ-ის ჩათვლით..
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 15.02.2017 წლის №3099140 ბრძანებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ, უთითებს, რომ 15.02.2017 წლის №3099140 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში უნდა ფიქსირდებოდეს შემდეგი მაჩვენებლები. საცხოვრებელი ფართობი 1750.2 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს - 1751.1 კვ.მ, დამხმარე ფართობი 224.4 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს - 224.7კვ.მ, საზაფხოლო ფართობი 143.2 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს - 127.8 კვ.მ, ხოლო კიბის უჯრედისა და სადაბაზოს ფართობი 196.5 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს - 211.7 კვ.მ. საერთო ფართობი 3085.1 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 3086.1 კვ.მ.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15.02.2017 წლის №3099140 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი - 1751.1 კვ.მ, დამხმარე ფართობი - 224.7კვ.მ, საზაფხოლო ფართობი - 127.8 კვ.მ, ხოლო კიბის უჯრედისა და სადაბაზოს ფართობი - 211.7 კვ.მ. საერთო ფართობი - 3086.1 კვ.მ. სამსახურის 15.02.2017 წლის №3099140 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15.02.2017 წლის №3099140 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.